შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟო მიმართულებით გასაწევი მომსახურებების საფასურებში ცვლილება

გაცნობებთ, რომ **2022 წლის 14 აპრილს მიღებულ იქნა და მ/წლის 14 მაისიდან** ამოქმედდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ [საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №201 დადგენილება](), რომლის მიღების ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- თვითმომსახურებისა და ელექტრონული სერვისების გამოყენების წახალისება, მათ შორის, დეკლარანტების/მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში დაშვებული პირების მიერ „eCustoms“-ის მეშვეობით რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის გაფორმებისათვის მომსახურების უპირატესი, განსხვავებული საფასურების შემოღება;
- საქონლის საბაჟო დეკლარაციების დეკლარანტების მიერ შევსებისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე საქონლის დეკლარირების წახალისება, რის ფარგლებშიც ფართოვდება იმ პროცედურების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებისას შესაძლებელია საქონლის წინასწარი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე დეკლარირება;

აღნიშნული ცვლილების მიხედვით, თვითმომსახურებისა და საქონლის წინასწარი (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე) დეკლარირების წახალისების მიზნით, ქვემოთ მოცემული საბაჟო პროცედურებისთვის მომსახურების საფასურები განისაზღვრა შემდეგნაირად:

	საბაჟო ორგანო		eCustoms-ში დაშვებული პირი	
	წინასწარი	არაწინასწარი	წინასწარი	არაწინასწარი
თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, დროებით შემოტანის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში დეკლარირება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით:				
3 000 ლარამდე	100	100	50	100
3 000 ლარიდან 15 000 ლარამდე	300	400	150	300
15 000 ლარზე მეტი	400	500	200	400

საბაჟო საწყობის პროცედურაში დეკლარირება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით:				
3 000 ლარამდე	25	50	უფასო	25
3 000 ლარიდან 15 000 ლარამდე	75	150	უფასო	75
15 000 ლარზე მეტი	100	200	უფასო	100
დროებით შენახვის დეკლარაციის შევსება				
1 დროებით შენახვის დეკლარაცია	50		უფასო	

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნორმატიული აქტის ცვლილება ასევე ითვალისწინებს შემდეგი სახის ცვლილებებს:

- მატერიალური ფორმით წარდგენილი განცხადების საფუძველზე, საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციისა და მისი თანმხლები დოკუმენტების ასლების გაცემის სერვისზე დადგინდა მომსახურების საფასური და მისი ოდენობა შეადგენს 30 ლარს.

- მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „eCustoms"-ში დაშვების სერვისის მომსახურება შეიცვალა დიფერენცირებული და დროზე დამოკიდებული მომსახურებით. კერძოდ, ნაცვლად ერთჯერადი/მუდმივი დაშვებისა, განხორციელდა აღნიშნულ სისტემაში 3-თვიანი, 6-თვიანი და 12-თვიანი დაშვების მომსახურებების შემოღება, შესაბამისი 200-ლარიანი, 300-ლარიანი და 500-ლარიანი საფასურების განსაზღვრით. აღსანიშნავია, რომ ცვლილების ამოქმედებამდე (2022 წლის 14 მაისამდე) „eCustoms"-ში დაშვებულ პირებზე აღნიშნული გავრცელდება დადგენილების ამოქმედებიდან 6 თვეში (2022 წლის 14 ნოემბრიდან).

- ექსპერტის მიერ სასაქონლო კოდის დადგენის მომსახურების საფასური, 1 სახეობის ობიექტზე განისაზღვრა 30 ლარის ოდენობით, ნაცვლად 15 ლარისა.

- გაფართოვდა იმ მომსახურების სახეების ჩამონათვალი, რომელზეც დადგენილი საფასური ორმაგდება გაფორმების ეკონომიკურ ზონებში ან გაფორმების განყოფილებებში <u>არასამუშაო დროს</u> მომსახურების გაწევისას. ასეთ მომსახურებებს მიეკუთვნება:
    - საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ, უცხოური საქონლის საბაჟო პროცედურაში (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება,

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, დროებით შემოტანა, თავისუფალი ზონა, შიდა გადამუშავება ან საბაჟო საწყობი) დეკლარირების მიზნით, საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციის შევსება;
    - საბაჟო ორგანოს მიერ დროებით შენახვის დეკლარაციის შევსება;
    - საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე, საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციის შევსება;
    - დაინტერესებული პირის მოთხოვნით გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებიდან საქონლის გადმოტვირთვა და იმავე ან სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა;
    - ექსპერტის მიერ სასაქონლო კოდის დადგენა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომსახურების გაწევის მოთხოვნა წარდგენილია ელექტრონული ფორმით, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან);
    - მოძრავი ქონების საბაჟო ღირებულების განსაზღვრა/დადგენა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომსახურების გაწევის მოთხოვნა წარდგენილია ელექტრონული ფორმით, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან).

- საფასურის გაორმაგებას დაექვემდებარება, ასევე გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ მიერ ზემოაღნიშნული მომსახურებების არასამუშაო დროს გაწევა.

- იმ მომსახურების სახეების ჩამონათვალს *(ექსპერტის მიერ სასაქონლო კოდის დადგენა/საბაჟო ღირებულების განსაზღვრა; უცხოური საქონლის დეკლარირების მიზნით საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციის წინასწარ ან არაწინასწარ შევსება; კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებულ ან საჰაერო ტრანსპორტით ფიზიკური პირის მიერ შემოტანილ 3000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შევსება; რეექსპორტის დეკლარაციის შევსება; საფოსტო გზავნილით შემოტანილ 10 000 ლარზე მეტი ღირებულების საქონელზე საბაჟო დეკლარაციის შევსება; ნამუშევარ ნავთობპროდუქტებზე (ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ნავთობპროდუქტების ბაკსაცავების ნარეცხი) შიდა გადამუშავების პროცედურის საბაჟო დეკლარაციის შევსება)*, რომელთა გაწევაც <u>იზღუდება/არ ხორციელდება შაბათს 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდსა და უქმე დღეებში,</u> დაემატა შემდეგი მომსახურებები:
    - საბაჟო ორგანოს მიერ დროებით შენახვის დეკლარაციის შევსება;
    - საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე, საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციის შევსება და საქონლის საბაჟო საწყობის პროცედურაში გაფორმება.

- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 18 საათიდან მომდევნო დღის 10 საათამდე პერიოდში არ განხორციელდება საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო

დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსება და დროებით შენახვის დეკლარაციის შევსება, გარდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2) მე-4 მუხლით გათვალისწინებულ, პრიორიტეტული წესით გაფორმებას დაქვემდებარებულ შემთხვევებში საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებისა.

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურების გაორმაგებისა და რიგი მომსახურების გაწევის შეზღუდვის მიზნით, არასამუშაო დროის განმარტება დიფერენცირებულ იქნა გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ და სხვა გაფორმების ორგანოებისთვის, კერძოდ:
    - გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში (გარდა გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთისა“) არასამუშაო დროა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 18:00 საათიდან მომდევნო დღის 10:00 საათამდე პერიოდი, შაბათს – 18:00 საათიდან ორშაბათის 10:00 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები;
    - გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ არასამუშაო დროა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 21:00 საათიდან მომდევნო დღის 10:00 საათამდე პერიოდი, შაბათს – 21:00 საათიდან ორშაბათის 10:00 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები.

- ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემის მომსახურების საფასური დადგინდა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევისთვის დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით და განისაზღვრება შემდეგნაირად:
    - ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების (ცოცხალი ცხოველებისა) ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის გაცემა – 5 სამუშაო დღე 100 ლარი, 1 სამუშაო დღე 150 ლარი, შაბათ-კვირა ან უქმე დღე 200 ლარი;
    - ცოცხალი ცხოველების ექსპორტის დროს ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის გაცემა – 1 დღე 100 ლარი.
    - ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა საქონლის ინსპექტირების გარეშე – 5 სამუშაო დღე 25 ლარი, შაბათ-კვირა ან უქმე დღე 100 ლარი;

    - ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა საქონლის ინსპექტირებით – 5 სამუშაო დღე 85 ლარი, შაბათ-კვირა ან უქმე დღე 200 ლარი;
    - საფოსტო გზავნილზე, მგზავრის ბარგსა და ხელბარგზე ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა – 5 სამუშაო დღე 30 ლარი, შაბათ-კვირა ან უქმე დღე 100 ლარი.

- ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის მომსახურების საფასური დადგინდა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევისთვის დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით და განისაზღვრება შემდეგნაირად:
    - 20 სამუშაო დღე – 25 ლარი;
    - 10 სამუშაო დღე – 35 ლარი;
    - 5 სამუშაო დღე – 45 ლარი;
    - 1 სამუშაო დღე – 50 ლარი.

- ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის ნებართვის გაცემის მომსახურების საფასურიც დადგინდა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევისთვის დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით და განისაზღვრება შემდეგნაირად:
    - 20 სამუშაო დღე – 50 ლარი;
    - 10 სამუშაო დღე – 70 ლარი;
    - 5 სამუშაო დღე – 90 ლარი;
    - 1 სამუშაო დღე – 100 ლარი.

სრულად ცვლილებების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე.